

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2017 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი საღდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 7 422 442.6 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 322 645.3 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 63 268.0 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 51 877.9 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 984 651.4 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-აგვისტოში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (6 322 645.3 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (6 854 539.5 ათასი ლარი) 92.2%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 6 426 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 5 841 005.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 90.9%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 511 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 278 127.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.7%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 940 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 713 427.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88.3%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (564 700.1 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (571 000.0 ათასი ლარი) 98.9%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 6.0 ათასი ლარი.

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 902 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 565 820.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.4%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 703 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 643 143.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 97.8%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 922 677.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 199 000.0 ათასი ლარი) 77%-ია;

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 56 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 46 109.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.3%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-აგვისტოში შეადგინა -49 058.2 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 160 464.5 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული 223 038.2 ათასი ლარი (რაც გეგმის 139%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 80 222.2 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 60 218.6 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 28 042.9 ათასი ლარი მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 11 770.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 42 533.8 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 2 817.9 ათასი ლარი).

– 30 03 კოდზე არასწორად ჩარიცხული თანხა – 250.1 ათასი ლარი, (რომელიც უნდა ჩარიცხულიყო კოდზე 32 71 – მიმდინარე ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა).

„სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 268 075.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 258 601.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 96.5%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების

სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 9 738.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2017 წლის იანვარ-აგვისტოში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (63 268.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (59 500.0 ათასი ლარი) 106.3%;

მათ შორის:

- შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (31 556.4 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (34 000.0 ათასი ლარი) 92.8%;
 - არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (31 681.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (25 500.0 ათასი ლარი) 124.2%;
- მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 235.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 149.1%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 29 432.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (24 000.0 ათასი ლარი) 122.6%;

„სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივებიდან“ მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-აგვისტოში შეადგინა 12.6 ათასი ლარი.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 51 877.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (54 300.0 ათასი ლარი) 95.5%-ია.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 984 651.4 ათასი ლარი (რაც საპროგნოზო მოცულობის – 1 360 878.5 ათასი ლარის 72.4%-ია);

მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 282 320.1 ათასი ლარი;
 - საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 702 331.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (1 039 403.1 ათასი ლარი) 67.6%-ია;
- მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 332 840.2 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 164 167.8 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 205 323.3 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის

შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 218 318.0 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 130.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 704 146.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 703 544.6 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 601.4 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 208.3 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 393.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2017 წლის 1 სექტემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 1 027 105.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 1 026 656.3 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 448.7 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის #301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 450 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 322 959.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 6 322 645.3 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 6 854 539.5 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 5 875 006.2 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 854 346.7 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 447 639.1 ათასი ლარი, ცხრა თვის გეგმა 192.8 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 400 599.2 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 63 268.0 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 463 867.2 ათასი ლარი.

2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 47 039.9 ათასი ლარი, ცხრა თვის გეგმა -655 364.0 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2017 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2016 წლის 30 დეკემბრის #348 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 8 514 382.3 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 7 670 079.7 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 844 302.6 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 7 615 932.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 7 099 483.6 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 6 441 221.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 658 262.0 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 93.2%, ხოლო გეგმის 83.4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2017 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.7%,

ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.3%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-აგვისტოში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 039 970.8 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 996 402.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 903 571.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 86.9%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 920 059.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 805 023.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 753 333.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 81.9%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 365 167.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 341 316.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 326 736.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.5% და ვალდებულების 95.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 181 678.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (196 258.4 ათასი ლარი) 92.6%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 145 058.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (145 058.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 338 618.6 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 316 383.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 307 000.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს და გეგმის 90.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 33 850.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა

შეადგინა 32 995.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.5% და ვალდებულების (33 038.3 ათასი ლარი) 99.9-ია%.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2017 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 841 653.4 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 692 389.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (745 865.2 ათასი ლარი) 92.8% და საგეგმო მაჩვენებლის 82.3%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2017 წლის იანვარ-აგვისტოში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 530 059.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (579 359.9 ათასი ლარი) 91.5%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2017 წლის იანვარ-აგვისტოში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 194 383.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 400 110.5 ათასი ლარი) 91.4% და საგეგმო პარამეტრის (2 476 278.9 ათასი ლარი) 88.6%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 800 493.1 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 590 667.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.3%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 119 662.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 258 153.9 ათასი ლარი) და გეგმის 89%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 493 885.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 432 364.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.6% და ვალდებულების (488 304.67 ათასი ლარი) 88.6%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 634 417.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 568 079.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.6% და ვალდებულების (568 575.9 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2017 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 872 598.0 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 757 352.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 697 591.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.1%-ს და გეგმის 79.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 431 081.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 380 857.6 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (431 081.7 ათასი ლარი) 88.3%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 715 056.8 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 475 174.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 463 867.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.6%-ს და გეგმის 64.9%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 488 692.2 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 320 850.2 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (318 913.2 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.4% და საგეგმო მაჩვენებლის – 65.3%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2017 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 558 652.4 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 448 212.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 440 534.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 98.3%-ს და გეგმის 78.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 20 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 19 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და გეგმის 95%-ია; სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციისა და ტექნიკის შეძენისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 67.4% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 386 326.4 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 330 091.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 320 076.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97%-ს და გეგმის 82.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 280 614.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (280 614.5 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 39 461.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (49 476.5 ათასი ლარი) 79.8%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 25 054.7 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 2 205.5 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 22 849.2 ათასი ლარი.

„სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯების ანგარიშის გახსნისა და კორპორაციული ბარათების დამზადების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2017 წლის პირველი

სექტემბრისთვის შეადგინა 224.7 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 6 338 873.3 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 150 417.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 399 472.5 ათასი ლარი) 82.2%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 226 992.9 ლარი, რაც გეგმის (289 058.8 ათასი ლარი) 78.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.7%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 326 686.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (365 117.7 ათასი ლარი) 89.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 28.4%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 533 155.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 435 986.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (6 338 873.3 ათასი ლარი) 6.9%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 769 336.2 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 649 887.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.5%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.3%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 365 788.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (419 083.0 ათასი ლარი) 87.3%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (71 695.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (92 176.0 ათასი ლარი) 77.8%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 78 997.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (94 216.2 ათასი ლარი) 83.8%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 036 707.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 763 722.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 73.7%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (27 502.1 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (53 178.9 ათასი ლარი) 51.7%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (100 958.5 ათასი ლარი), გეგმის (124 121.1 ათასი ლარი) 81.3% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 699 272.1 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 513 152.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 73.4%.

გარემოს დაცვის ხაზით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 46 023.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 42 026.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.3%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 23 035.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12 045.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52.3%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 5 040.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 3 715.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 73.7%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2017 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 764 807.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 679 653.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 534 552.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (484 475.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 90.6%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (107 561.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (113 267.1 ათასი ლარი) 95%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 25 984.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (32 456.7 ათასი ლარი) 80.1%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 178 230.0 ათასი ლარით, რაც 2017 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (206 329.3 ათასი ლარი) 86.4%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 37 535.8 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (31 138.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 83%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 876 768.3 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 737 028.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.1% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.6%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 388 389.7 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (442 311.6 ათასი ლარი) 87.8%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 96 120.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (98 760.9 ათასი ლარი) 97.3%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 913 767.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 689 875.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.7%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 279 954.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 138 517.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 88.9%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 441 312.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (505 358.2 ათასი ლარი) 87.3%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასეთხმეჭ შემთხვევაში შეადგინა სულ 3 438.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 276.5 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2017 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 1 161.9 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდაცხრა შემთხვევაში შეადგინა სულ 35 535.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 24 889.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 10 646.9 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ თოთხმეჭ შემთხვევაში შეადგინა სულ 95 259.7 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 74 572.4 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 20 687.3 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამ შემთხვევაში შეადგინა სულ 10 900.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 606.8 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2017 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 9 293.2 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 50 246.4 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 47 005.6 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 13 222.2 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 12 162.8 ათასი ლარი, (მათ შორის, „საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 12 156.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 26 732.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 26 732.1 ათასი ლარი), სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 309.7 ათასი ლარი(საკასო ხარჯი – 309.7 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 7 958.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 4 615.3 ათასი ლარი).

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 2 334.0 ათასი ლარი, ბიუჯეტის ასიგნების ფარგლებში გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 3 495.3 ათას ლარს, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 1 333.1 ათას ლარს.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 4 615.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2017 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.